

## სამხედრო აღრიცხვის , გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის

2020 წლის საქმიანობის ანგარიში

### მიწერის (პირველადი სამხედრო აღრიცხვა) განყოფილება

- მომზადდა პირველად სამხედრო აღრიცხვის ჩატარების გრაფიკი კონკრეტული ვადების მითითებით და ეცნობა საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელებს;
- 2020 წლის იანვრიდან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სკოლებში ,შედგენილი გრაფიკის მიხედვით, დაიწყო 2003 წელს დაბადებულ ჭაბუკთა აღრიცხვაზე აყვანა;
- რეგისტრაციის ადგილის მიხედვით შესაბამის მუნიციპალიტეტებში გადაგზავნილი იქნა იმ ჭაბუკთა დოკუმენტაცია, რომლებიც სწავლობენ ჩვენს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ სკოლებში;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 23 საგანმანათლებლო დაწესებულებიდან და საჯარო რეესტრიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შედგენილი საერთო სიის მიხედვით აღრიცხვაზე ასაყვანი იყო 207 ჭაბუკი, აქედან:
- აღრიცხვაზე აყვანილი იქნა 188 ჭაბუკი;
- საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მიერ გადამოწმებული და დადასტურებული იქნა ინფორმაცია იმ 9 ჭაბუკის შესახებ, რომელთაც დატოვეს საქართველოს საზღვარი ;
- აღრიცხვაზე ასაყვანია 10 ჭაბუკი, რომელთა გამოცხადებაზეც მიმდინარეობს მუშაობა.
- საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოხდა ჭაბუკთა ინფორმირება სამხედრო-სავალდებულო სამსახურში აღრიცხვაზე აყვანასა და შემდგომ გაწვევასთან დაკავშირებულ საკითხებზე. აღნიშნული პროცედურა დაიწყო იანვრის თვიდან და დასრულდა აპრილის თვეში;
- საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მიღებული დაკუმენტაციის საფუძველზე შეიქმნა 2003 წელს დაბადებულ ჭაბუკთა სამხედრო - სააღრიცხვო ბარათები;
- სამხედრო-სააღრიცხვო ბარათებში ასახული ინფორმაციის საფუძველზე შეიქმნა 2004 წელს დაბადებულ წვევამდელთა ანბანური წიგნი;
- ივლისის თვიდან დაიწყო სამზადისი მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2004 წელს დაბადებულ ჭაბუკთა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე ასაყვანად.
- მომზადდა პროექტი და გამოცემული იქნა ბრძანება 2004 წელს დაბადებულ ჭაბუკთა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის შესახებ.
- გამოთხოვილ იქნა საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან 2004 წელს დაბადებულ ჭაბუკთა სახელობითი სიები და კანონით გათვალისწინებული დოკუმენტაცია;
- სახემლწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან გამოთხოვილი იქნა 2004 წელს დაბადებულ ჭაბუკთა სიები.
- მონაცემთა შეჯერების საფუძველზე შედგა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე ასაყვან ჭაბუკთა საერთო სია.

### წვევამდელთა აღრიცხვისა და გაწვევის განყოფილება

- 2020 წლის იანვრის თვეში განყოფილებაში გაიხსნა ნომენკლატურით გათვალისწინებული ყველა საჭირო საქმე, ჟურნალი და წიგნი;
- წვევამდელთა სააღრიცხვო ბარათები შედარდა ანბანურ წიგნებთან;
- რეზერვისტთა განყოფილებაში გადაირიცხა 136 წვევამდელი, რომელთაც შეუსრულდათ ზღვრული ასაკი 27 წელი;
- საგაზაფხულო და საშემოდგომო გაწვევის დაწყებასთან დაკავშირებით შემუშავდა და დამტკიცდა გაწვევის პროექტი და გამოსამახებელ წვევამდელთა სახელობითი სია;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან გამოთხოვილი იქნა სიები აქტიური და სტატუსშეჩერებული სტუდენტების შესახებ, რის საფუძველზეც მოხდა შესაბამისი რეაგირება;

- სისტემატიურად ხდება სამოქალაქო რეესტრის სამსახურიდან მიღებული ინფორმაციის გადამოწმება და წვევამდელთა პირადი საქმეების გადაგზავნა ან გამოთხოვა სხვადასხვა რაიონებიდან;
- საჭიროების შემთხვევაში ხდება იმ წვევამდელთა საცხოვრებელ მისამართზე გასვლა , რომელთა დაუწყებავ ვერ ხერხდება საფოსტო გზავნილის საშუალებით;
- შესაბამისად რეაგირება ხორციელდება კანონდამრღვევ წვევამდელებზე, რის გამოც საგაზაფხულო და საშემოდგომო გაწვევის პერიოდში პოლიციას გადაეცა 123 წვევამდელის, ხოლო სასამართლოს - 4 წვევამდელის მასალები;

**2020 წლის საგაზაფხულო (საქართველოს მთავრობის დადგენილება #261-23/04/2020 წელი) და საშემოდგომო (საქართველოს მთავრობის დადგენილება #474-29/07/2020 წელი) გაწვევების პერიოდში:**

- გამწვევ - გამანაწილებელ პუნქტში სამედიცინო შემოწმების გავლის მიზნით გადაყვანილი იქნა 676 წვევამდელი;
- სავალდებულო-სამხედრო სამსახურში გაწვეულია 82 წვევამდელი;
- კანონის სხვადასხვა მუხლის საფუძველზე გადავადება გაუფორმდა 372 წვევამდელს;
- ქრისტიანული, ევანგელური, პროტესტანტული ეკლესია „ბიბლიური თავისუფლებ“-ის(გირჩი) ცნობა წარმოადგინა 70 წვევამდელმა;
- საანგარიშო პერიოდში გაცემულია 95 წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობა;
- საერთო აღრიცხვაზე აყვანილია 15, ხოლო მოხსნილია- 8 წვევამდელი;
- მომზადდა საგაზაფხულო გაწვევის ანგარიში შესაბამისი ფორმების მიხედვით და წარედგინა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს.

წვევამდელთა აღრიცხვისა და გაწვევის განყოფილებაში აქტიურად მიმდინარეობს საშემოდგომო გაწვევის ჩატარებასთან დაკავშირებით აუცილებელი სამუშაოები და ღონისძიებები.

**რეზერვისტთა აღრიცხვისა და გაწვევის განყოფილება**

2020 წლის იანვრის თვეში განყოფილებაში გაიხსნა ნომენკლატურით გათვალისწინებული ყველა საჭირო საქმე, ჟურნალი და წიგნი;

- რეზერვისტთა ანბანური ბარათები შედარდა სააღრიცხვო ბარათებთან;
- 2020 წლის საანგარიშო პერიოდში განყოფილებაში აღრიცხვაზე აყვანილია 303 რეზერვისტი, ხოლო აღრიცხვიდან მოხსნილია - 66 ;
- გაცემულია 97 რეზერვისტის დროებითი მოწმობა;
- საკონტრაქტო- პროფესიულ სამსახურში გაწვეულია 7 რეზერვისტი;
- სისტემატიურად ხდება ცნობების გაცემა , როგორც მოქმედი კართოტეკიდან ასევე საარქივო დოკუმენტებიდან;
- სამოქალაქო რეესტრის სამსახურიდან მიღებული შეტყობინებების საფუძველზე ხდება უაღრიცხვო რეზერვისტთა გამოვლენა, ასევე სხვა რაიონში გადასულებზე სააღრიცხვო დოკუმენტების გადაგზავნა;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ტერიტორიული რეზერვის პროგრამის ფარგლებში, ჩვენს მიერ ხორციელდებოდა სააგიტაციო - პროპაგანდული საუბრები მუნიციპალიტეტის სოფლებში, რის საფუძველზეც მოხალისე რეზერვისტებმა გამოთქვეს სურვილი და მსახურობენ ტერიტორიული რეზერვის სხვადასხვა სამხედრო ნაწილებში.
- დროულად და ხარისხიანად, შესაბამისი ვადების ფარგლებში, ხდება რეაგირება (დოკუმენტაციის მომზადება, გადაგზავნა ან გამოთხოვა შესაბამისი ორგანოებიდან) შემოსულ - გასულ კორესპოდენციაზე და განცხადებებზე.